სამოთხის კაცობრიობას (ღვთის შვილებს), როგორც კი უფალი ღმერთი ამოქმედებს წუთისოფლის არსებობის ექვს (6) დღიან პროგრამას (6 მილიარდწლიან პროგრამას), მეხსიერება ეკეტებათ მთლიანად, რადგან ისინი გადაიქცევიან კოსმიურ თესლად და ა.შ. წმიდა წერილის ავტორებმა დაფარეს თუ ვინაა მამა ღმერთი, სად იმყოფება იგი, როგორ მოქმედებს მისი სული, როგორია პრინციპი და სისტემა მარადისობისა. აბა კარგად დაფიქრდით, ადამი (მამაკაცები და დედაკაცები), რომელიც შექმნა უფალმა ღმერთმა სრულყოფილი რომ ყოფილიყო **„ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობის ნაყოფს“**—ყალბ ინფორმაციას შეჭამდა? ბუნებრივია არა, ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ადამი (კაცობრიობა), რომელმაც ღმერთისაგან აკრძალული ხის (წერილის, ყალბი მოძღვრების) ნაყოფი ჭამა, გახლავთ პატრიარქი ადამიდან აქეთ **XXI** საუკუნის დასაწყისამდე არსებული თაობები, რომლებმაც თექვსმეტი (16) ათასი წლის განმავლობაში შექმნეს ანტიღვთიური მოძღვრებები და ყალბი ინფორმაციის მასიურად გამავრცელებელი საინფორმაციო სამსახურები (ანტიქრისტე).

დასკვნა: ბიბლიური ადამის დედაკაც **მშაში** იგულისხმება ადამიანის (კაცობრიობის) წუთისოფლური ხორციელი აზროვნება, რომელიც ხორცის სხეულის მატრიცის (666) პროგრამიდან გამომდინარეობს. წუთისოფლის დასაბამიდან, უფალი ღმერთი შემოქმედი ექვს (6) მილიარდი წლის განმავლობაში ქმნის **„სა კითილისა და ბოროტის ნაყოფის“** მჭამელ ადამს (კაცობრიობას), რომელიც როგორც კი გაძდება ამ ნაყოფის ჭამით, ხელს გაიწვდის **„სიცოცხლის ხის“** (სახარების) ნაყოფზე და მოწყვეტს მას **მესიის** (იესოს) მეორედ მოსვლის დღეებში, ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ბიბლია:

„თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა (მოსეს რჯულისა), არ გაიწოდოს ახლა ხელი და არ მოსწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ იცოცხლოს.“ (დაბ. 3,22).

თითოეული ადამიანის მიერ ცოდვის ჩადენა თუ არ ჩადენა გამომდინარეობს მისი სულიერი სიმწიფის ხარისხიდან, რომელიც მას დაუდგინა გამწინმა ღმერთმა (მთავარმა რეჟისორმა). შემოქმედი ღმერთს აქვს მარადიული სიცოცხლის აღწარმოების დოგმატურ-კანონიკური წიგნი; სრულყოფილი, ეტალონური მოძღვრება, რომელიც სამყაროს შექმნის ექვს (6) დღიანი და ორმოცდაცხრა (49) დღიანი პროგრამისგან შედგება. ექვს (6) დღიანი პროგრამის მოქმედების მონაკვეთში კაცობრიობას და ყველაფერს აქვს ფერისცვალებადი (**ხრწნადი**) სხეული, რომელსაც რელიგიური კოდით ჰქვია **მშა**. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ბიბლია: **„უნოდა ადამმა თავის დედაკაცს** (სხეულს, ხორცის ნიგნს) **მშა, რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა.“** (დაბ. 3,21).

$$5 + 6 + 1 = 12 \text{ ნეკნი}$$

კოდი — **მ + ზ + ჯ = 12 + 12 = 24** ნეკნი აქვს ადამიანს.

$$5 + 6 + 1 = 12 \text{ ნეკნი}$$

მამრობით სქესს აქვს 24 ნეკნი და მდედრობით სქესსაც 24 ნეკნი. მივიღეთ $24+24=48$. წუთი-სოფლის დასაბამიდან (თესლიდან) მამა ღმერთის კარამდე, კაცობრიობა გადის სულიერ-სხეულბრვი განვითარების 48 საფეხურს, 49 საფეხურზე დგას მამა ღმერთის ტახტი. ამინ.

სამოთხის სავანეში სულის სხეულში მყოფი კაცობრიობის ბედისწერის წიგნი (თითოეულის ბედისწერა) ისეა შედგენილი, რომ ბოლომდის და ამომწურავად აღსრულდეს მამა ღმერთის ექვს (6) დღიანი სცენარი, რომელიც მას წუთისოფლის ექვს (6) მილიარდწლიანი სპექტაკლისათვის აქვს დაწერილი. თითოეული ადამიანის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია და ისიც გადაწყვეტილია, როდის და რა სიტუაციაში მოვიდეს მესია (იესო) დედამიწაზე, პირველად და მეორედ. ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი სახარება: **„განა ორი ბელურა ერთ ასარად არ იყიდება? და არც ერთი მათგანი არ დაეცემა მიწაზე თქვენი მამის ნების გარეშე, ხოლო თქვენს თავზე თმებიც კი დათვლილია.“** (მათე 10,29-30). იმის გამო, რომ მამა ღმერთი გადადის მისი შემოქმედების ექვს (6) დღიან პროგრამაზე კაცობრიობის სამოთხის სულის სხეულის დაცემა ხდება თესლად, რომელიც ექვს (6) მილიარდწლიანი განვითარებით ღებულობს თანამედროვე ადამიანის ხორცის სხეულის გარეგნობას: **„ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს უფალ იესო ქრისტეს. რომელიც ჩვენს დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის მსგავსად, ძალისხმევით შეძლებს ყოველივე თავის თავს დაუმორჩილოს.“** (ფილ. 3,20-21)

ხორციელი მიწით შემოსილი ადამიანი, ყალბი, ბოროტი ინფორმაციის მიღებით (ჭამით) და აზროვნების დანაგვიანებით, თანდათანობით ჯვარს აცმევს მასში არსებულ ქრისტეს სულს და კლავს მას. ისე კლავს, როგორც მოკლეს წმიდა იესო, უმეცარმა იუდეველმა „ღვთისმსახურებმა“ და კეისრის მსახურმა პილატემ. მართალი, უცოდველი იესოს ხორცის სხეულის მოკვლით, მისგან აღსდგა სულის მაცოცხლებელი სხეული (წყალი იქცა ღვინოდ—ცხოვნებად). არამართალი (ცოდვილი) ადამიანის ხორცის სხეულის სიკვდილით მისგან აღსდგება ქვესკნელის მეტაფიზიკური სხეული (წარწყმედა), რომელსაც სახარების ენაზე ეწოდება **ბჰმნა**. ამიტომ გვასწავლის წმიდა სახარება: **„ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ. უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გენაში და სხეულისაც.“** (მათე 10,28).

ამრიგად, ხორციელი აზროვნების საზღაურია სიკვდილი, მეტაფიზიკური სხეული და ჯოჯოხეთის სავანე (ქვესკნელი) სულიერი აზროვნების საზღაურია აღდგომა, სულის სხეული და სამოთხე (ზესკნელი). თეოლოგთა განმარტებით ცოდვილი ადამიანები უკვალოდ ნადგურდებიან და შეწყალება მათზე არ ვრცელდება. ეს გახლავთ მცდარი შეხედულება, ამიტომ მოვუსმინოთ წმიდა სახარებას: **„აჰა, ის მოდის ღრუბლებით და დაინახავს მას ყოველი თვალი, ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი, და აქვითინდება მის წინაშე დედამიწის ყველა ტომი, დიახ, ამინ.“** (გამოცხ. 1,7).

სახარების განმარტებით მიუტევებელი ცოდვაა სულიწმიდის (ღვთის სიბრძნის, მართალი ინფორმაციის) გმობა. სინაგოგის სინედრიონის სამღვდლოებამ ჰგმო სულიწმიდა, მოსეს მეორე სჯული (თავი 18,18). ქრისტეს სჯული და ჯვარს აცვა (მოკლა) მესია. მიუხედავად ამისა გამოცხადება გვეუბნება: **„დაინახავს მას ყოველი თვალი, ისინიც, რომელთაც იგი განგმირეს.“** ე.ი. ქრისტეს მკვლელი იუდეველები და ყველა ცოდვილთა სული მეტაფიზიკური სხეულით ქვესკნელის სავანეებში იმყოფებიან და დიდი იმედით მოელიან, მათ მიერ მოკლული მესიის (იესოს) მეორედ მოსვლას დედამიწაზე, რომელიც იხსნის კაცობრიობას ცოდვილი ხორცის სხეულიდან, აზროვნებიდან და ქვესკნელის ქაჯეთის ციხიდან.

ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი პავლე მოციქული: **„დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, და ჯვარცმით სიკვდილამდე. ამიტომ ღმერთმაც აღამალა იგი და მისცა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი (მესია), რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციარმა, მიწიარმა და ქვესკნელმა.“** (ფილ. 2,8-10).


ვინც კი მის მოსვლას მოელის ბედნიერია, ვინც არ მოელის მსჯავრდებულია. მისი მაცხოვნებელი მადლი ყოველ ჩვენთაგანს. ამინ.

ადამიანის მარადიული მოაზროვნე სული (**მჰ**=მამის ენა) ხორცის სხეულიდან (ტაძრიდან) ახალ სხეულში (ტაძარში) გადაბადებას ანდომებს **36** საათს ($3X12=36$). შემოქმედი სულისაგან მიტოვებული სხეული იწყებს დაშლის პროცესს და უბრუნდება დედამიწის პროგრამის მატრიცას. ახალ სხეულში გადასული სული (მოაზროვნე **მჰ**) ორმოცი დღის განმავლობაში ისმენს დედამიწაზე ცხოვრების დროს ჩადენილი კეთილი და ბოროტი საქმეების მთლიან (დანვრილებით) ინფორმაციას, რომელიც ახალი სხეულის მატრიცას თანდათანობით ალაგებს გარდაცვლილის სულის ხარისხის მიხედვით.

გარდაცვლილის სული, ზუსტად ისეთი სიმძიმის მეტაფიზიკურ სხეულს ღებულობს ქვესკნელის სავანეში მოსახვედრად, რომელ ეკლესიასაც ეკუთვნოდა იგი დედამიწაზე ცხოვრების მონაკვეთში. ორმოცი დღის მონაკვეთი არის სხეულის მიღების ღვთიური კანონი, რათა კონკრეტული ადამიანი განინმდოს შავი აურისაგან და ღვთის მიერ მისჯილი სატუსალო ვადის ამონურვის შემდეგ დაბრუნდეს სამოთხეში.

დედამიწიდან სამოთხისაკენ არსებობს ერთადერთი ნათელი **სუჭტი** (ქრისტეს გზა), რომელზედაც სვლა და აღმადრენა შეუძლია მხოლოდ სულის ნათელი სხეულით შემოსილ კაცს. როდესაც იესოს ხორცის სხეული ჯვარს აცვეს, მისგან მესამე დღეს აღსდგა სულის ნათელი სხეული (ქრისტეს კვართი), ანუ მართალმა იესომ მიიღო მართალი სხეული—რომელსაც უნარი აქვს შეუფერხებლად ავიდეს მამასთან (ჩვენი გალაქტიკის ცენტრში).

მანამ, სანამ კაცობრიობას არ ექნება ქრისტესმიერი სულიერი სიმართლე, გარდაცვალების შემდეგ მათ არ ასცდებათ ქვესკნელის ჯურღმულებში და ბნელეთში ჩასვლა.



გარდაცვლილ ადამიანებს, რომლებთაც ჩადენილი აქვთ მომაკვდინებელი ცოდვა, ღვთისგან სასჯელის სახით ეძლევათ მძიმე და უმძიმესი სხეული, შესაბამისად ისინი იგზავნებიან ქვესკნელის შავნელ სავანეებში სასჯელის მოსახდელად. ანუ იგზავნებიან ნათელი კოსმიური **სუფთი-ღან** ყველაზე განაპირა სავანეებში.

გარდაცვლილ ადამიანებს, რომლებთაც ჩადენილი აქვთ არამომაკვდინებელი ცოდვა, ღვთისგან სასჯელის სახით ეძლევათ შედარებით მსუბუქი და საშუალო სიმძიმის მეტაფიზიკური სხეული და იგზავნებიან კოსმიური ნათელი **სუფთიან** ახლოს მდებარე სავანეებში.

იესო ქრისტე, მეორედ მოსვლის დროს ჩადის ქვესკნელის სავანეებში და ანთავისუფლებს იქ მყოფ სულებს, ამიტომ გვეუბნება ღვთაებურივი სახარება: „**აჰა, ის მოდის ღრუბლებით, და დაინახავს მას ყოველი თვალი, ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი და აქვითინდებიან მის წინაშე დედამიწის ყველა ტომი. დიახ, ამინ.**“ (გამოცხ.1,7).


სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტე ანთავისუფლებს ნუთისოფელს (ხორციელ კაცობრიობას) და იმათაც რომლებიც ქვესკნელში იმყოფებიან. ამიტომ მას დაინახავენ კაიაფა, სინაგოგას სინედრიონის იუდეველი რაბინები, არმენი (სომეხი) ფარისევლები, პილატე, მისი გამშოლტავი რომაელი ჯარისკაცები, ჰეროდე და ყველა ვინც მოიძულა სიმართლე (ღმერთი) და შეიყვარა ეშმაკი (სიცრუე და ბოროტება).

ადამიანის გონების შვიდეკლესიური ინფორმაცია დაკეტილია, რომელიც იღება ღვთის წმიდა სჯულის შესწავლით, უფლის მცნებების შესრულებით, ათი მცნების მიმართ მორჩილებით, მარხვების დაცვით, უფლის საქმეებზე ფიქრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლით და ღვთის სჯულის **სიყვარულით** (დედამიწა და ჩვენს ირგვლივ არსებული კოსმოსი არის ღმერთის საქმეების ცოცხალი ლაბორატორია). ყოველივე აღნიშნულის მოძულესა და დამცინავს ეწოდება **ანტიქრისტე**, რომელიც თავისი სულის შვიდი ეკლესიის კარებს კეტავს და ბოროტების სიყვარულით მოქმედებს (ცხოვრობს). ადამიანები გარდაცვალების შემდეგ საკუთარი სულის გაღებას ქრისტეს მოციქულის დონეზე ორი (2) ათასი წლიდან ექვს (6) მილიარს წელს ანდომებენ. მხედველობაშია გენეტიკურ-ინფორმაციული თაობა თევზის ლიფსიტიდან იესო ქრისტეს მოსვლამდე.

როდესაც ადამიანი თავისი სულის მატრიცას დაალაგებს ქრისტეს მოციქულის დონეზე მისი ხორცის სხეული (წყალი=იუდა=666) უნარჩენოდ გადაიბადება სულის სხეულში (ღვინო=ქრისტე=999).

ღვთის წმიდა სასამართლო პროცესი, ხორცის სხეულიდან გარდაცვლილ ადამიანზე მიმდინარეობს ორმოც (40) დღეს, თვითონ პიროვნების შინაარსში ინფორმაციის სახით დევს, უმაღლესი მსაჯულის ფუნქცია (ძე ღმერთის სულიერების დონე). ადამიანის მიერ დედამიწაზე ცხოვრების დროს ჩადენილი კეთილი და ბოროტი საქმეების სრული ვიდეოჩანაწერის ხილვა და მოსმენა ხდება $3+37=40$ დღის განმავლობაში (სამი დღე სჭირდება სულისა და ხორცის განშორებას, 37 დღე კი ცოდვა-მადლის გარჩევას).

მეორმოცე დღეს ადამიანი ღებულობს იმ სხეულს (მსუბუქს, მძიმესა და უმძიმესს), რომელიც განწმენდას ნუთისოფლის დასაბამიდან სჭირდება ექვსი (6) მილიარდი წელი და ქრისტეს რწმენის მიღებიდან ორი (2) ათასი წელი. დედამიწაზე გარდაცვლილი ადამიანის სული ჯერ გადის მთვარეზე,



მთვარიდან კი ერთი წლის თავზე გადადის ქვესკნელის იმ სავანეში, რომელიც მას მიესაჯა ღმერთის მიერ. ქვესკნელში მყოფ სულებს კი ქრისტე ანთავისუფლებს მისი დედამიწაზე მოსვლის დროს. **აზიზ**.

ნებისმიერი გარეშემონერილი არსი, თავისთავშია სულიერ-სხეულებრივი ინფორმაცია (ღვთის პროგრამის დათვლილ-აღრიცხული წიგნი), ანუ ღვთის **სიტყვა**, რომელიც შედგება შინაგანი წიგნისაგან (სულის შემოქმედისაგან) და გარეგანი წიგნისაგან. ადამიანის სულის კოდია $5+5=10$ =პროგრამა (1) და თესლი (0). ადამიანის სხეულის შემოქმედი კოდია: $1+9=10$, $2+8=10$, $3+7=10$, $4+6=10$,. მივიღეთ: $10+10+10+10=40$. აი, თუ რატომ უხდინ მიცვალებულს ორმოცი (40) დღის მოსახსენიებელს.

კონკრეტულად ადამიანის შინაგანი წიგნი (ჯვარი) არის დაბადების პროგრამა: $1+5+4=10$ და $2+5+3=10$, მივიღეთ $10+10=20$ (ს)=სიტყვა.

მამა $4 + 1 + 2 + 1 + 4 + 5 + 2 + 1 = 20 = (ს) = სიტყვა$
 ძე = **ღ + ა + ბ + ა + ღ + მ + ბ + ა** = $20 + 20 = 40$ დღე = ღმერთის საქმეს
 სუ. წმ. $4 + 1 + 2 + 1 + 4 + 5 + 2 + 1 = 20 = (ს) = სიტყვა$.


ადამიანისა და ყველაფრის გარდაცვალება არის მისი დაბადება ახალი განზომილების სხეულსა და სავანეში. ე.ი. ჩვენ ყოველ წუთსა და წამს ვხედავთ ღმერთის შემოქმედების პროცესს (ღმერთის საქმეს).

ადამიანის გარეგანი წიგნი—სხეული (ჯვარი) არის მისი შინაგანი სულით შექმნილი გარსი: $6+5+9=20$ =ს=სიტყვა შემოქმედისა, $8+5+7=20$ =ს=სიტყვა შემოქმედისა. $20+20=40$ =გარეგანი სახე სულისა (ეკრანი სულისა).

ამრიგად, მიცვალების სულზე ორმოცის (40) გადახდა გულისხმობს ადამიანის სულის გადაბადებას ხორცის სხეულიდან ასტრალურ სხეულში. ანალოგიურად ეძლევა ადამიანის სულს ხორცის სხეული; მამაკაცი=20 თითი(ოც-ნება)+დედაკაცი=20 თითი (ოც-ნება)=40 ნება. ე.ი. ნებისმიერი გარეშემონერილი არსის სხეული (გარეგანი წიგნი) იწერება მისივე სულის მიერ, რომელიც თავის-თავშია მამა, ძე და სულიწმიდა. ხე ისხამს ნაყოფს, ცოლ-ქმარი ისხამს შვილებს, მინა იძლევა ნაყოფს და ა.შ. ეს არის ღმერთის ცოცხალი საქმეები. მანამ სანამ ადამიანს სულის მატრიცა ლაზარე, გონების ჯვარზე მწყობრად არ ექნება დალაგებული იგი სულის სხეულს არ ეღირსება, არც სწორად აზროვნებას ეღირსება.

უკიდევანო კოსმოსი და მასში არსებული ხილული და უხილავი არსთა სახეობებს არა აქვთ სი - ცოცხლის დაწყება (სტარტი) და დასასრული (ფინიში), მაგრამ მათ აქვთ თავის-თავში მარადიული დაბადების ინფორმაციული დათვლილ-აღრიცხული პროგრამა, ანუ ღმერთის აბსოლუტური დოგმა, არსთა სახეობების მაქსიმუმი მდგომარეობიდან მინიმუმში დაცემა (24 საფეხური) და არსებობის მინიმუმი მდგომარეობიდან მაქსიმუმში აღდგომა (24 საფეხური).

როგორც კი ადამიანი მიიღებს ქრისტეს სულიერ-ცნობიერ სინმიდეს ($28=ძე$ მარადიული), მისი ხორცის სხეული (წყალი) სულის სხეულად გადაიქცევა ($37=სულიწმიდას=სამების მეშვიდე ეკლესიას$). ანუ ადამიანის გული უნდა გახდეს **ბიბლია** ($37/55$), რის შემდეგ მისი გონება და სხეული გახდება ცის ნათელი **კიბა**.



$$11+10 + 2 + 5 = 28 = \text{ქე მარადიული}$$

$$\text{კოდი — } \mathbf{კ + 0 + ზ + ქ} = 28+37=65=\mathbf{სქ} = \text{კოსმიური ეკლესია}$$

$$20 + 10 + 2 + 5 = 37 = \text{სულიწმიდა (თევზის ჭამა)}$$

ქრისტეს მეორედ მოსვლით ხორცის სხეულში მყოფი კაცობრიობა და ქვესკნელში დამწყვდეული მეტაფიზიკურსხეულიანი ადამიანთა სულები, თანდათანობით მიიღებენ სულის ნათელ სხეულს (ცის კიბეს) და დაიწყებენ აფრენას კოსმიური ნათელი ეკლესიის მეცხრე ცისკენ. ამინ.

ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ბიბლია: „**ესიზმრა მინაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება, უფლის ანგელოზები ადი-ჩამოდიან კიბეზე.**“ (დაბ,28,12). დიახ, ღვთის შვილები—კაცობრიობა მარადიულად ადის და ჩამოდის კოსმიურ კიბეზე, რომელიც მას სულში ჩაუწერა **მამამ, კამ და სუ-ლიწმიდა**. ვინ ამოშლის ღვთის სიყვარულს ჩვენი გულიდან? კაენი? იუდა? თუ ვინ? სიცრუის ლაპარაკის სპეციალისტებო არ დაიღალეთ?!

სამყაროსა და მასში არსებული არსთა მარადიული წრებრუნვა არის დოგმატური მუდმივა, ანუ ესაა ერთადერთი **სისტემა**, რომელიც არის ყველაფრისა და ყოველივეს მარადიული არსებობის საფუძველი. მოცემული წრებრუნვის დადგენილ ჟამს ქრისტე დედამინაზე პირველად მოდის ხორცის სხეულით (წყალი), მეორედ კი სულის სხეულით (ღვინო). კაცობრიობას ღვთისაგან მიეცა დამწერლობა, სასულიერო ენა, სჯულის წიგნები, სამღვდელოება და ეკლესია (ღვთის სკოლა). ყოველივე კაცობრიობას მიეცა მართალი რწმენის მისაღებად.

შემოქმედი ღმერთის რელიგიისა და სარწმუნოების მისაღებად კაცობრიობას მიეცა მრავალი დამწერლობები და ენები, მაგრამ ერთადერთი სრულყოფილი დამწერლობა და ენაა **ლაზარე**.

$$20 + 1 + 19 + 31 + 13 + 22 + 14 + 16 + 5 + 2 + 1 = 144$$

$$\text{კოდი — } \mathbf{ს + ა + რ + ჯ + მ + უ + ნ + ო + ქ + ბ + ა} \text{ — } \mathbf{ლ + ა + ზ + ა + რ + ქ}$$

$$30 + 1 + 7 + 1 + 100 + 5 = 144$$

ქართული დამწერლობითა და ენით შექმნეს წმიდა მამებმა ღვთის სჯულის წიგნი და წმიდა წერილები, რომლის შესწავლით ცნობიერი მკვდრები გაცოცხლდებიან.

წუთისოფლის დასაბამიდან მიცვალებული სულები 5-6 მილიარდი წლის განმავლობაში დგანან სამოთხის დაკეტილ კართან და უცდიან **იესოს** მეორედ მოსვლას, რომელიც ალებს ჯოჯოხეთის (ქვესკნელის) კარებს და სამოთხის კარსაც, ამიტომ ეწოდება მას მხსნელი.

სარწმუნო ინფორმაციის გასაღებია ლაზარე, რომელიც არის იესოს მეგობარი და ეს გასაღები მას ყოველთვის თან აქვს. ამიტომ გვეუბნება წმიდა სახარება: „**მკვდარი ვიყავი და აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე, მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები.**“ (გამოცხ.1,18). ადამიანში არსებული ღვთის სასუფეველის (სულის სხეულის) გასაღებია ლაზარე, რომლის მეშვეობით იესო წყალს (ხორცს) გადააქცევს ღვინოდ (სულად).

$$12 + 1 + 7 + 1 + 19 + 5 = 45$$

$$3 + 19 + 1 + 12 + 10 = 45$$

$$\text{კოდი — } \mathbf{ლ + ა + ზ + ა + რ + ქ} \text{ — } \mathbf{ბ + რ + ა + ლ + 0}$$

$$30 + 1 + 7 + 1 + 100 + 5 = 144$$

$$3 + 100 + 1 + 30 + 10 = 144$$

ლაზარე არის ღმერთის ნათელი ეკლესიის **სამრეკლო**. ამინ.



სულის თასლი
წმიდა ბრაალი
ადამიანის გონების (სულის) მეშვედევ ეკლესიაში არსებული ქრისტეს დამბადებელ უფალს, **ლაზ-არე** ეწოდება, რომელიც იყო სერობის მთავარი თემა.

ორმოცდაათი (50) ქართული კოდური დამწერლობის საიდუმლო ინფორმაციას **ბრაალის თასი** (სულის თესლი) ეწოდება, რომლის მოკლე შიფრია **წუნ-ისი**, რომელიც ქეშმარიტი ინფორმაციის თესლს ნიშნავს (წუნ=50/500 და ისი=40/220, თასი=40/220)

პატრიარქი ადამიდან დაწყებული და ერეკლე მეორეთი დამთავრებული თექვსმეტი (16) ათასი წლის განმავლობაში ლაზურ-კოლხურ-იბერიულ საქართველოში ყველა თაობის მონარქმა იცოდა მეცნიერული მართლმადიდებლობის ისტორია. ისიც იცოდნენ, რომ **(ტ)** არიელ ქურუმთა კასტა იყვნენ ბაგრატიონები და ქართული გენეტიკის წარმომადგენლები, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ გზა დედამიწიდან სამოთხისაკენ, ანუ იცოდნენ ღმერთის ნათელი ტაძრისაკენ (სამოთხისაკენ) მიმავალი გზის ანი და ჰოე. ისიც იცოდნენ რომ ადამიანის ხორცის (წყლის) სხეული გარდაცვალებადია და გარდაცვლილის სული ასტრალური სხეულით რომ იმყოფება ქვესკნელის რომელიღაცა სატუსალოში (სულის დილეგში). ბაგრატიონები ჩვეულებრივი კანონების წიგნს არ წერდნენ, ვინაიდან მათთვის კანონის წიგნს წარმოადგენდა ძველი და ახალი აღთქმის ღვთიური წიგნი. მოცემული წიგნით მართავდნენ ისინი საქართველოს და დედამიწიერ მისიას ანხორციელებდნენ მთელ მსოფლიოში.

ქართული მეცნიერულ-მართლმადიდებლური ინსტიტუტიდან გამოვიდა ყველა ბიბლიური წმიდა მამა, წინასწარმეტყველები, მოციქულები და მაცხოვარი იესო, ყველა პიროვნება რომელიც კი სწავლობდა ქართულ მეცნიერულ-მართლმადიდებლურ ინსტიტუტში იყო **ბრაალის თასის საძმოს** წევრი.



გრაალის თასის საძმოს წევრებმა გაიტანეს მთელ მსოფლიოში საღვთო სჯული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის ნაყოფია თანამედროვე მსოფლიოში არსებული რელიგიური ინსტიტუტები, სახელმწიფო ინსტიტუტები, მეცნიერული მიღწევები, კულტურის მიღწევები და ა.შ. ყველაფერი კარგი რაც კი თანამედროვე კაცობრიობას გაჩნია წარმოადგენს **(ტ)** არიელ ქურუმთა დამსახურებას. კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობა ავტომატურად წარმოშობს ბოროტებას, ამიტომ კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობის მქონე სამღვდელთა, მეცნიერების და სახელმწიფო მოხელეები ვერა-

სოდეს ვერ შექმნიან სამართლიანობას და ვერც წესრიგს დაამყარებენ დედამიწაზე, ამიტომაც მოდის იესო და წმიდა მამათა გუნდი დედამიწაზე რათა ღვთიური სამართლიანობა დაამყარონ მსოფლიოში. ამინ.

მოცემულ წერილს ვამთავრებ ღვთაებრივი გამოცხადების სიტყვებით: **„სული და სასძლო ამბობენ: მოდი! გამგონებაც თქვას: მოდი! მწყურვალე მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი.“**

1996-2006წ.

პირამიდის საიდუმლო შინაარსი

“იესო კი კვლავ შეძრული შინაგანად, მივიდა სამ-არხთან, ეს იყო გამოქვაბული, რომელსაც ლოდი ჰქონდა აფარებული. იესომ თქვა: „მოაშორეთ ლოდი, მიცვალებულის დამ მართამ უთხრა: „უფალო უკვე ყარს, რადგან მეოთხე დღეა, რაც დავმარხეთ.“ იესომ უთხრა მას: „განა არ გითხარი, რომ თუ ირწმუნებ ღვთის დიდებას იხილავ-მეთქი?“ ამრიგად მოაშორეს ლოდი (ამ რიგად ანუ არც პირველად და არც უკანასკნელად). იესომ თვალეები აღაპყრო და თქვა: „მამაო გმადლობ შენ, რომ მისმინე. მე ვიცოდი, რომ ყოველთვის მისმენ. მე მხოლოდ გარეშემოკრებილი ხალხის გასაგონად ვთქვი რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე“. ეს რომ თქვა დიდი ხმით დაიძახა: „ლაზარე გამოდო“. გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუდარით ჰქონდა შეხვეული. უთხრა მათ იესომ: „შეხსენით გაუშვით იაროს!“ (იოანე 11,38-44).

თანამედროვე მსოფლიოში არსებული რელიგიური ინსტიტუტების სასულიერო პირთა ზედა ფენა, მეცნიერული ინსტიტუტების ზედა ფენა და სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების ზედა ფენა მეტნაკლები ხარისხით ინფორმირებულები არიან თუ რა წერია ძველი და ახალი აღთქმის ღვთაებრივი ინფორმაციის ნიგნში. მოცემულ ნიგნებს ბიბლიის ენაზე ეწოდება მოსეს **კიდობანი** (თორა) და **იესოს კიდობანი** (სახარება). წინასწარმეტყველები, მოციქულები და წმიდა მამები ამ ორი მართლმადიდებლურ მოძღვრებაზე ანუ შემოქმედი ღმერთის წმიდა სჯულზე (კანონზე) გვესაუბრებიან.

სასულიერო პირთა, მეცნიერთა და სახელმწიფო მოხელეთა ზედა ფენა ინფორმირებულია, რომ XXI საუკუნის დასაწყისში (2000-2030 წ.წ) ღვთის სჯულის ნიგნით ნაწინასწარმეტყველებია ქრისტეს მოსვლა, ლაზარეს აღდგენა, დამანგრეველი მსოფლიო ომი, ქარის, ხანძრის, წყლისა და მიწისძვრის ისეთი სტიქია, რომლის მსგავსს ადგილი არ ჰქონია დედამიწაზე კაცის გაჩენის მომენტიდან დღემდე (წუთისოფლის დასაბამიდან 2000 წლის თავამდე).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე გრაალის თასის საძმომ 1996-2000 წლებში გამოსცა ჩემი შვიდი ნიგნი და 2000-2004 წლებში გამოვეცით სამი ყოველთვიური გაზეთი მრავალი მამხილებელი ინფორმაციით, მსოფლიოს წინამძღოლი **იუდა** და მისი ერთგული ძმები სდუმან სასაფლაოს ქვებივით. თავიანთ თავს დააბრალონ რაც მოუვათ განრისხებული ღმერთისაგან. ამაზეა ნათქვამი: **„რაც მოგივა დავითაო (დავით-ა) ყველა შენი თავითაო“**. გამჩენთან დავობენ მხოლოდ კრეტინიზმი, ანუ ნიგნიერი ათეისტ-კოსმოპოლიტი-კაენურ-იუდაისტური მსოფლმხედველობის ადამიანები.

პირამიდის საიდუმლო შინაარსის პარალელურად საუბარი მექნება დედამიწაზე 2000-2030 წლებში მოსალოდნელ დამანგრეველი სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე. თანამედროვე კაცობრიობის „ელიტამ“ იცის რაც მოხდა ნარსულში (ფაქტი), მაგრამ არ იცის ამ მომხდარის ობიექტური მიზეზი. ნიგნიერი ელიტა, რომელიც განაგებს თანამედროვე მსოფლიოს, მომხდარი ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლება და ხალხს აძლევს ცრუ დაპირებებს. თანამედროვე ადამიანმა თუნდაც გენიოსმა ყველა ნიგნიერი ინფორმაცია რაც კი არსებობს დედამიწაზე ჩაიტენოს თავისი გონების საწყობში, ვერ იტყვის რა მოხდება მომავალში, ვერც კაცობრიობის ნარსულს განსჯის ობიექტურად, რადგან არ იცის თუ რაზე დგას დედამიწის და მასზე არსებულის საქციელ-მოქმედებათა **მიზეზი**.

თანამედროვე რუსეთის სასულიერო, მეცნიერული და სახელმწიფო მართვის ზედა საფეხური ინფორმირებულია (დანარჩენი მსოფლიოზე ბევრად ინფორმირებულია), რომ ქართული ენა (გენეტიკაც) არის იგივე ბიბლიური ლაზარე (ქრისტეს მეგობარი), რომ მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა კიევის პეჩორის ლავრაში ჩაიტანა **ღრო-შა**, რომელიც ჩამოერთვა იუდას და გადაეცა სლავიანთა რასას (слово т.е. поклонники бога и его святого слова), რომელსაც ქართველებთან ერთად აქვს კაცობრიობის განმანათლებლისა და წინამძღოლის **მისია**. ისინი გარკვეულ დონეზე ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ, მიუხედავად ამისა რუსეთის ხელისუფლება იუდა იზრავს და ამერიკის შეერთებულ შტატებს ურიგდება საქართველოს გაპარტახების პოლიტიკაში. კრეტინი შევარდნაძისა და სააკაშვილის გაპანპულებით ხარობენ რუსეთის ხელისუფალნი. ამასობაში ქრისტეს მეგობარი ლა-

ზარე (საქართველო) წამების ძელზე იტანჯება. სლავებისა და კაცობრიობის ბედი წყდება ტანჯვის ძელზე გაკრულ საქართველოში და არა მადლარ ვაშინგტონში, ლონდონში, პარიზში, პეკინში, დელში და ა.შ. იერუსალიმში, რომელსაც მიწისაგან პირისა აღგვა უწინასწარმეტყველა მაცხოვარმა **იესომ**.

არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთლიანად სლავების სასულიერო, მეცნიერთა და სახელმწიფო მოხელეთა ზედა ეშალონებს მოგინოდებთ პატივი სცეთ ქრისტე ღმერთისაგან თქვენზე დაკისრებულ უდიდეს მისიას, არა საქართველოს გადასარჩენად, არამედ საკუთარი ჯიშისა და ჯილაგის გადასარჩენად იუდას შავი ათეისტურ-კოსმოპოლიტიური მსოფლმხედველობისაგან. ღმერთმა და თქვენმა ჭკვიანმა წინაპრებმა აგვიდეს მძიმე ჯვარი მისიონერისა, რომლისაგან ხელის დაბანას ცდილობთ, მაგრამ არ გამოგივათ, ვინაიდან ღმერთისგან დადგენილს კაცი ვერ შეცვლის. არ იფიქროთ თითქოსდა ჭკუას გარიგებდეთ, უკაცრავად, მაგრამ თქვენს მოვალეობას შეგახსენებთ, რომელიც უნდა შეასრულოთ საკუთარი რასისა და ღმერთის წინაშე. ეშმაკს არ სძინავს, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. წარმატებებს გისურვებთ თქვენ (სლავებს) და ყველა სამოციქულო ინსტიტუტებს ღმერთისაგან თქვენზე მინდობილი საქმის წარმატებით შესრულებაში, რაც არის უზენაესი ბედნიერება.

მსოფლიოში არსებული სამოციქულო ინსტიტუტები ვალდებულნი არიან ბედნიერებისაკენ, სიმართლისაკენ (ქრისტესაკენ), მარადისობისაკენ (ღმერთისაკენ), სიხარულისაკენ წარუძღვენ კაცობრიობას, რათა გაანთავისუფლონ მსოფლიო უსჯულოებისა და უმეცრების მონობისაგან (კაცობრიობის უმეცრებაზე დააშენა იუდამ ბაბილონის კოშკები, რომლის მიწასთან გასწორების ჟამი მოახლოებულია).

შევეცდები, რასაც ვხედავ, რასაც სულის თვალი მაჩვენებს, ყოველივე წიგნიერი ადამიანისათვის გასაგები ენით, მარტივი მიდგომით გაგაგებინოთ ანუ თვალი აგიხილოთ, რათა შეიცნოთ ღმერთის საქმეები. ყოველივე ის რაც ხდება დედამიწაზე, მზის სახლის სისტემის არეალში, თორმეტი ზოდიაქოს არეალში, ირმის ნახტომის გალაქტიკის მომცველობაში და უკიდევანო სამყარო უსასრულობაში, ხდება ღმერთის საინფორმაციო პროგრამის წიგნის (კანონის წიგნი) სცენარის აბსოლუტური დაცვით. ანუ არსებობს სიცოცხლის მარადიული აღწარმოების პროგრამა (დაბადების წიგნი), ორმოცდათხუთმეტი (55) მილიარდწლიანი კინოლენგა, რომელშიც მთლიანად აისახება ის, რაც შემოქმედი ღმერთის პროგრამის წიგნშია ჩადებული. ამიტომ გვასწავლის მაცხოვარი **იესო**: „**ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ. უფრომეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გვენაში და სხეულისაც. განა ორი ბელურა ერთ ასარად არ იყიდება? და არც ერთი მათგანი არ დაეცემა მიწაზე თქვენი მამის ნების გარეშე. ხოლო თქვენს თავზე თმებიც კი დათვლილია.**“ (მათე 10, 28-30).

სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ მამა ღმერთის ნება წარმოადგენს ინფორმაციის დათვლილ-აღრიცხულ პროგრამის წიგნს, რომლის უმარტივესი ხატია კომპიუტერი ტელემონიტორით. რა ხდება ჩვენში და ჩვენს ირგვლივ? — ღმერთის ნების აბსოლუტური რეალიზაცია, ანუ შემოქმედის ინფორმაციის დათვლილ-აღრიცხული პროგრამის ეკრანიზაცია (მატერიალიზაცია) სრულდება ბოლომდის და ამომწურავად. ჭკვიანი და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი იკითხავს: რა არის ღმერთის ინფორმაციის დათვლილ-აღრიცხული პროგრამის (სისოცხლის წიგნის) არსებობის საფუძველი?! — ამაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია — რიცხობრივ (10) ანბანური (40) დამწერლობა — **მატრიცა**.

ღმერთის საქმეებს ჩვენ ვხედავთ, ჩვენს თავში და ჩვენს ირგვლივ, ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი სოლომონ ბრძენი: „**ყველაფერშია შენი უხრწნელი სული**“ — ო მიმართავს იგი გამჩენს. ამრიგად შემოქმედი ღმერთის ინფორმაციის დათვლილ-აღრიცხული პროგრამა (სული) ყველგან და ყველაფერშია ანუ რიცხობრივ (10) ანბანური (40) დამწერლობითი **მატრიცა** ყველაფერშია და ყოველივეს მარადიული არსებობის საფუძველია.

მოცემული განმარტების შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ დედამიწა, მთვარე, პლანეტები, მზე, ვარსკვლავები, ზოდიაქოები, გალაქტიკები და ა.შ. უსასრულო სამყარო კოსმოერთიანობა მოძრაობს, იბადება, მოქმედებს, შემოქმედი ღმერთის ინფორმაციის დათვლილ-აღრიცხული პროგრამის მიხედვით. ისინი ღმერთის პროგრამიდან (ნებიდან) ნემსის წვერის სიდიდის გადახრასაც კი არ (ვერ) მოინდომებენ, ამიტომ ღმერთის სახელმწიფო-უსასრულო სამყარო ერთიანია, განუყოფელია და მარადიულია (ურღვევია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა შევიგნოთ თუ რატომაა ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა წერილები **ღობაჰატი**. დედამიწის ოთხი დროით ფერისცვალება ანუ გაზაფხულის ყვავილობა (აღდგომა), ზაფხულის ნაყოფიერება, შემოდგომის მოსავალი და ზამთრის ძილი (სიკვდილი) და გაზაფხულზე ისევ **აღდგომა**, წარმოადგენს შემოქმედი ღმერთის, ზოგადკოსმიური, გლობალური კანონის ხატს — **ღობას, ზორაჟულას**. ამინ.

ჩვენი გალაქტიკის ცენტრის ერთი დღე (12 საათი) უდრის დედამიწის ათას (1000) წელიწადს. 70 წლის ხორციელი ადამიანი მამა ღმერთის დროით 50 წუთის ასაკისაა. ამიტომ ჰქვია დედამიწას ნუ-

თისოფელი. აქვე განვმარტავ, რომ ადამიანის სულს არა აქვს დანყება და დასასრული, ხოლო მის სხეულს კი აქვს დანყება და აღსასრული, ახალი სხეულის მიღების მომენტამდე. ე.ი. სული მარადიულია მისი სხეული კი დრო-ებითია. სულის გარსს ეწოდება დრო, ამიტომ მატერიის საზომია დრო, სული კი არ იზომება, ვინაიდან მუდმივია. მატერია იცვლება წონაში, ფორმაში, მასაში, სიმკვრივეში, მდგრადობაში, მოძრაობის სიჩქარეში ანუ მატერია ყველა მახსიათებლით ცვალებადია, ამიტომ **დროებითია. სული მიწის მუშაკია, მატერია მასალაა...**

ღვთაებრივი სახარების მიხედვით ერთი ღმერთი შემოქმედი თავისთავში განუყოფელი წმიდა სამებაა, ანუ სამი ერთიანი მაცოცხლებელი ფუნქციისაგან შედგება: სამების პირველ იპოსტასს ეწოდება **პაპა** ღმერთი, მეორე იპოსტასს — **პე** ღმერთი და მესამე იპოსტასს — სულიწმიდა **დეტ** - თი. მამა ღმერთი შობს ძეს (თესლი-ნაყოფი), ხოლო სულიწმიდა მამა ღმერთისაგან გამოდის. ე.ი. ადამიანში და ყველაფერში ინფორმაციული ფუნქციის სახით დევს **პაპა, პე** და **სულიწმიდა** შემოქმედი. ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი სახარება: **„ღვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ. არც იტყვიან: აგერ აქ არის, ან: აგერ იქ არისო, ვინაიდან, აჰა თქვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი.“** (ლუკა 17, 20-21).

მოცემული დოგმატი თეოლოგებსა და ღვთისმსახურებს სუსტად ესმით, ამიტომ მარტივად გეტყვით: ადამიანის მარადიული სული (მე) მამისა, ძისა და სულიწმიდისაგან შედგება, ანუ შემოქმედის სამი ფუნქციის მდგენელი ერთარსისაგან შედგება: ადამიანის აზროვნებაში მამის ფუნქცია შობს სიტყვის თესლს (ძეს), ხოლო მისი სიბრძნის შვიდი დონე — სულიწმიდას ფუნქცია სიტყვის თესლს ენის მექანიზმით დაბადებს **სულიერ-სხეულებრივ სიტყვად**. ანალოგიურია ბავშვის ჩასახვა და დაბადება, ფაუნისა და ფლორის აღწარმოება, პლანეტების მოძრაობა და ა.შ. უსასრულო ვარსკვლავიერი კოსმოსის არსებობა **პაპა, პე** და **სულიწმიდას** დოგმატზე დგას. ყველაფერი მისით ცოცხლობს, ყველაფერი სამეხობთაა მარადიული.

ღვთაებრივი სახარების მიხედვით მამა ღმერთს გააჩნია კოსმიური ნათელი **ს-სმ-ული** (სხეული ნიშნავს სულის სამოძრაო აპარატს). მამა ღმერთის ნათელ სხეულს ეწოდება **კოსმიური კელსია** (სვეტიცხოველი ჰქვია მას). მამა ღმერთის თავია ირმის ნახტომის გალაქტიკის ცენტრის არეალი (მამის დროით ერთი დღე=12 საათს, რომელიც უდრის დედამიწის ათას (1000) წელიწადს, ორი დღე უდრის ორი (2) ათას წელიწადს ანუ ქრისტეს მოსვლისა და ლაზარეს აღდგომის ჟამს) მისი გულმკერდის ადგილს წარმოადგენს თორმეტი ზოდიაქოს არეალი, მუცელი-საშვილოსნოს ადგილს — მზე, ფეხის მუხლებს ადგილს ჩრდილოეთის პოლარული ვარსკვლავის არეალი და ფეხების სადგამს წარმოადგენს **დედაიფა**.

დედამინა წარმოადგენს შემოქმედი ღმერთის საშვილოსნოს, რომელშიც დედის საშვილოსნოში მყოფი პატარა ყრმის მსგავსად იმყოფება კაცობრიობა. დედის საშვილოსნოში მყოფი პატარა ყრმა ჭიპით ($\kappa=42/5010$, $\pi=27/90$, $\kappa\pi=$ კოსმიურ ლოდს) მიბმულია მშობლის სულიერ-სხეულებრივ სამყაროსთან. ანალოგიურად დედამინა და მასში მყოფი კაცობრიობა კოსმიური ჭიპით მიბმულია მზესთან (დედასთან) და ღმერთის კოსმიურ ნათელ სხეულთან (ეკლესიასთან).

ბიბლიური გაგებით (მეცნიერულ-მართლმადიდებლური მსოფლმხედველებით) დედამინა წარმოადგენს უსასრულო სამყაროს ცენტრში მარადიულად მდგარი უზარმაზარი ხის (გალაქტიკის სისტემის) ბუდეს, კაცობრიობა კი ამ ბუდეში მყოფ ბარტყებს (მართვეებს). პატარა ბალანა წოვს დედის **კუკუ**-ს, ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს ნათელი მზე დედამიწისა და მასში მყოფი კაცობრიობის მიმართ. მზე დედის სხეულის ფუნქციას ასრულებს, დედამინა საშვილოსნოს ფუნქციას, კოსმიური ნათელი სვეტი კი ჭიპის ფუნქციას. მარტივად თუ ვიტყვით მზე ასრულებს დედის ძუძუს ფუნქციას, სხივები რძის ფუნქციას (ბუა=რძე), მზის ჰელიოცენტრის სისტემა პლანეტებით ასრულებს აკვანის (ონ-ნეს) ფუნქციას, თორმეტი ზოდიაქო ოჯახის ფუნქციას და გალაქტიკის სახლი მთლიანად ასრულებს ღმერთის სამართლიანი სახელმწიფოს ფუნქციას.

დედის საშვილოსნოში მყოფი ყრმა, ჭიპის ფუნქციით, მშობელი დედის სულიერ-სხეულებრივი სისტემიდან (სამყაროდან) ლებულობს სულიერ (დღე) და სხეულებრივ (ღამე) საკვებს. ანალოგიურად დედამიწის საშვილოსნო და მასში მყოფი კაცობრიობა კოსმიური ნათელი ჭიპით (69/5100) ლებულობს მამა ღმერთის კოსმიურ სულიერ (დღე) სხეულებრივ (ღამე) საკვებს. ამიტომ დღე და ღამე, კვირის მონაკვეთი (მარა), თვე, წელიწადის ოთხი დრო არის კოსმიური ჭიპის გაღებისა და დაკეტვის (ინფორმაციის მატრიციდან ლოდის გადაგორების) დინამიკა ანუ ფერისცვალების პროცესი. უფრო ზუსტად ესაა ღმერთის აზროვნების მატერიალიზაციის პროცესი, შემოქმედის სულის ეკრანიზაციის პროცესი, ანუ მისი სულის თვალის ნამნამთა ხამხამის პროცესი. დღეა ნამნამთა გაღების და ღამეა ნამნამთა დაკეტვის ღვთიური სისტემა, რომელსაც ასტრონომების ენაზე კოსმიურ სხეულთა მოძრაობა ჰქვია. სინამდვილეში კაცობრიობისა და უსასრულო სამყაროს არსებობა წარმოადგენს შემოქმედი ღმერთის სულის მატრიცის შინაარსის ეკრანიზაციას სულიერ-სხეულებრივ მდგომარეობას.

როგორც ზემოთ გითხარით, დედამინა წარმოადგენს კოსმიური ნათელი ხის ბუდეს, კაცობრი -

ობა კი მასში მყოფ ბარტყებს (მართვეებს). ბარტყები მამრობითის თესლისა და მდედრობითის კვერცხუჯრედის შეჯვარებით იჩეკებიან მართვეებად, იზრდებიან ბავშვებად, ყმანვილებად, ჭაბუკებად, ვაჟკაცებად, ჭკვიან კაცებად, ბრძენ მოხუცებად და სხეულის სიკვდილით (კვერცხის ჯვარცმით) აფრინდებიან დედამინის კოსმიური ბუდიდან, ანუ მოსიარულე ხორცის (წყლის) სხეულიდან 40 დღის მონაკვეთში გადაბადებიან კოსმიურ ფრინავ სხეულში. გარდაცვლილი ადამიანის კოსმიური სიჩქარე უდრის 27-30კმ/წამს. რომელიც შეესაბამება დედამინის მოძრაობის სიჩქარეს საკუთარი ღერძის ირგვლივ. დედამინიდან აფრენილი ადამინი (54/117=9/9) გადადის მთვარეზე, მთვარიდან გადაფრინდება მისი სულის ხარისხის შესაბამის პლანეტაზე, იქიდან დადგენილი ჟამის შემდეგ გადაფრინდება უფრო მაღალი აზროვნებითი მატრიცის მქონე პლანეტაზე და ა.შ. ამალღდება მზის სახლის მაქსიმალური აზროვნებითი მატრიცის მქონე პლანეტაზე. იქიდან კი გადაფრინდება ჩრდილოეთის პოლარულ ვარსკვლავზე. დედამინის ბუდიდან აფრენილი ადამიანი, ღვთის ნებით ახდენს, მისი სულის საინფორმაციო არხებიდან **ლოდის** გადაგორებას და მაღალი საინფორმაციო არხებისაკენ სვლას, ანუ ახდენს დაბალი ხარისხის მატრიცის მქონე სხეულიდან, მაღალი მატრიცის მქონე სხეულში გადაბადებას. უშუალოდ მზე წარმოადგენს სამოთხის კარს. მზის ირგვლივ არსებული პლანეტები (9) წარმოადგენენ ქვესკნელის სავანეებს, რომლებიც ასრულებენ დედამინაზე გარდაცვლილი და ღმერთის მიერ გასამართლებული ადამიანთა სატუსალო დაწესებულებათა ფუნქციას. დედამინაზე გარდაცვლილი და ღმერთის მიერ გასამართლებული ადამიანები წყლის (ხორცის) სხეულის ნაცვლად ლებულობენ მეტაფიზიკურ მფრინავ სხეულს, რომელსაც უნარი არა აქვს გადალახოს სამოთხის გავარვარებული კარიბჭე (ცეცხლოვანი მახვილი). ნუთისოფლის დასაბამიდან რაც კი ხორციელი ადამიანები მიიცვალნენ იმყოფებიან ქვესკნელის სავანეებში და ელოდებიან ქრისტეს ჩამოსვლას მამა ღმერთის საინფორმაციო ცენტრიდან. ქრისტე ფლობს სულის სხეულის გასაღებს, ამიტომ ეწოდება მას მხსნელი (სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღების მარადიული მფლობელი ანუ მღვდელმთავარი მელქისედეკი).

ადამიანის გონების აზროვნებიდან სიტყვის შექმნა და მისი გამოთქმა ადამიანის სასის, ენისა და პირის ღრუს მექანიზმით არის ღვთის მიერ საქმის კეთების ასლი (ხატი, მუდმივა), რომლის ანალოგიას წარმოადგენს ჩიტის ბუდე, კვერცხები, მისგან ბარტყების გამოჩეკა და იქიდან ბარტყების აფრენა დედამინიდან ცისკენ...


ადამიანის პირიდან გამოსული ინფორმაცია მიფრინავს მეორე ადამიანის ინფორმაციის მიმღებ სადგურამდე. ანალოგიურად ხდება სულის სხეულის მქონე ადამიანის დაბრუნება მამასთან. მამა ღმერთის გონების ცენტრში აფრენილი ადამიანი ლებულობს თვითონ მამა ზეციერის მფრინავი აზროვნების გარსის ანალოგიურ სხეულს ანუ ლაზერულ-ფოტონურ გარსს, რომელსაც უნარი აქვს ადამიანის სული (მე) ჩაიყვანოს უსასრულო კოსმოსის ნებისმიერ წერტილში. მამლის სული და დედლის სხეული ანუ მამა ღმერთის სულით და სულიწმიდა ღმერთის სხეულით აღმდგარი ძე ღმერთს ჰქვია **სა-ზრანი**. (ზე-ფრენი. **სა**=მამა ღმერთი=კოსმიური ეკლესია, ფრ-ენი. **ზრ**=42/600 **ანი**=ენა=ლოდმოსხნილი სული, მამის სული სულიწმიდით განწმენდილი, სულის გარსიანი სული ანუ უსხეულო სული, ე.ი. მარადიული სული). სამოთხის ცენტრში ადამიანი ხდება მამა ღმერთის მფრინავი სული. ანუ მას შეუძლია ინფორმაციის ეკრანიზაცია მოახდინოს სამყაროს ნებისმიერი წერტილიდან.

ჩრდილოეთის პოლარულ ვარსკვლავამდე, მთვარიდან ადამიანის სულის გადაყვან სხეულს ბიბლიური კოდით ჰქვია **ჟორანი** (86/1031). ჩრდილოეთის პოლარული ვარსკვლავიდან მზემდე გადაყვან სხეულს ბიბლიური კოდით ჰქვია **არწიმი** (77/4127). მზიდან, მამა ღმერთის თავის ცენტრამდე (გალაქტიკის ცენტრამდე) გადაყვან სხეულს ბიბლიური კოდით ჰქვია **მტრალი** (72/459). ადამიანის სულის აფრენას და მის მოძრაობას სამოთხისაკენ რუსთაველი გადმოსცემს მეტაფორით: **„ნახეს მზისა შესაურელად გამოეშვა მთვარე გველსა“**. გველი ანუ დედამინის მატრიცის ველი.

მზე და მზის სახლი (ჰელიოცენტრული სისტემა) წარმოადგენს მამა ღმერთის კოსმიური სხეულის მუცელ-საშვილოსნოს, რომელშიაც დედამინა მოთავსებულია ქალის საშვილოსნოში მყოფი ბალღით. დედამინა, საშვილოსნოში მყოფი ბალღის მსგავსად ჭიპით მიკრულია მზის ცენტრთან, მზე თორმეტ ზოდიაქოსთან და თორმეტი ზოდიაქო კი ირმის ნახტომის გალაქტიკის ცენტრთან ანუ მამა ღმერთის თავთან. ე.ი. თითოეული ხორციელი ადამიანის დაბადება და გარდაცვალება დედამინაზე საინფორმაციო ნათელი ჭიპით დაკავშირებულია მამა ღმერთის თავის საინფორმაციო ცენტრთან. აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი რაც კი ხდება დედამინაზე და თითოეული ადამიანის ბიოგრაფიაში აღრიცხულია უწვრილმანეს დეტალებამდე.

ქართულ ეკლესიებში (ერთეულებში) ნაჩვენებია ჰორიზონტალურად დაწოლილი ადამიანი, რომელიც ჭიპით მიბმულია მზესთან. ამიტომ გვასწავლის კოლხური სიბრძნე, „მზე დედაა ჩემი“-ო დედამინიდან მზემდე დევს **სამ-არამ** მზე მეოთხეა. დედაკაცის მუცლიდან დაბადება იძლევა ხორცის

ირმის ნახტომის გალაქტის ცენტრი



ფხვი
71/6515

დედამინა
საშვილოსნო

დედამინა
საშვილოსნო

ლ(25) X ღ(4) = რ(100)
ი(10) X ღ(4) = რ(40)

მოძრავ სხეულს. საკუთარი სხეულიდან სიკვდილით აღდგომა იძლევა კოსმიურ-მეტაფიზიკურ მფრინავ სხეულს და ა.შ. ღვთის წმიდა სასამართლოს შემდეგ ჩვენი ცოდვა-მადლის გათვალისწინებით მივდივართ **მამასთან**, ანუ მივდივართ **იქ** საიდანაც მოვედით.

ჩრ-დილო-ეთის (დილო=ლოდი) პოლარული ვარსკვლავი დედამინიდან აღიქმება როგორც უძრავი საგანი, ვინაიდან იგი მოძრაობს ირმის ნახტომის გალაქტიკის თანხვედრილად (12 საათი=ერთ დღეს და ეს უდრის დედამინის 1000 წელს). დედამინაზე გარდაცვლილი და ახალ სხეულში დაბადებული ადამი - ანები თანდათანობით ადიან ცის კიბეზე, დედამინიდან მთვარეზე, მთვარიდან იმ პლანეტაზე, რომელი პლანეტის სხეულის მატრიცის შესაბამისი სხეული აქვს მიღებული გარდაცვლილ ადამიანს. მზე წარმოადგენს სამოთხის კარიბჭეს, სადაც მფრინავსხეულიანი კაცი (პიროვნება) ვერ შევა ქრის-

ტეს მოციქულის დონის სულის ხარისხის მიუღებლად, ანუ ქრისტეს სასუფევლის სხეულის მიუღებლად არავის არ შეუძლია ქვესკნელიდან აფრენა და სამოთხეში შესვლა.

როგორც ადრე გითხარით, მამა ღმერთი ინფორმაციული ფუნქციის სახით დევს თითოეულ ადამიანში, ძე ღმერთი და სულიწმიდა ღმერთიც ანალოგიურად დევს ადამიანში. მზის სიტემის, თორმეტი ზოდიაქოსა, გალაქტიკის არეალის და ა.შ. უსასრულო სამყაროს შინაარსი იფორმაციის სახით დევს თითოეულ ადამიანში. როდესაც ადამიანს ელება მამა ღმერთის საინფორმაციო არხი, მან იცის თუ რა წერია მამა ღმერთის საინფორმაციო დათვლილ-ალრიცხული მარადიული სიცოცხლის პროგრამის ნიგნში. ამიტომ გვეუბნება მაცხოვარი **იესო**: „**სადაც მე მივდივარ თქვენ იცით ის გზა. თომამ უთხრა: უფალო, არ ვიცით, სად მიდიხარ და გზა როგორღა გვეცოდინება? იესომ უთხრა: მე ვარ გზა. ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა თუ არა ჩემით. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გვეცოდინებოდათ, ამიერიდან იცნობთ მას და გიხილავთ იგი. ფილიპემ უთხრა: „უფალო გვაჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის. იესომ უთხრა მას: „რა ხანია თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა, როგორღა ამბობ, გვაჩვენე მამაო? განა არ გნამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში? **სიტყვებს** (იფორმაციას), რომელთაც გვეუბნებით, ჩემით არ ვამბობ. ჩემში მყოფი მამა აპოთეოს საქმეებს.“ (იოანე 14, 4-10).**

ადრე გითხარით, რომ დედამინა და თითოეული ადამიანი მამა ღმერთის თავთან დაკავშირებული საინფორმაციო ნათელი **სუჭტით**, დედამინის ზურგზე არსებობს ნათელი **სუჭტთან** დაკავშირებული შვიდი (7) საინფორმაციო სადგური (ენერგეტიკული ცენტრები): კავკასიონის სადგური (42 პარალელისა და 42 მერიდიანის გადაკვეთაზე, იგი მდებარეობს მამა ღმერთის ნათელი სუჭტის ღერძზე). ლიხის მთიანეთის გედსამანიის ქედზე (ვეშაპის მთა) მამა ღმერთის კოსმიური ნათელი **სუჭტის** ღერძი მონიშნულია რკინის პალოთი. მოცემული პალოდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის სწორხაზოვანი მიმართულებით დაახლოებით 140-150 კილომეტრზე მდებარეობს კოლხი აიეტის სატახტო ქალაქი **ხეთა (ჯიბეთა)**. ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით იგივე მანძილზე მდებარეობს, აიეტის პირდაპირი შთამომავალის ფარ-ნა-ვაზ მეფის სატახტო ქალაქი **მ.გ.ხეთა** (მირონ ცხებული ხეთა) და **სუჭტისცხოველი**. რკინის პალოდან საქართველოს ტერიტორიას 150 კილომეტრიანი რადიუსის წრეწირში თუ ჩავსვამთ მივიღებთ საინფორმაციო სადგურს, საიდანაც ქართველი ქურუმები უკავშირდებოდნენ კოსმიური ეკლესიის ცენტრალურ სადგურს (მამა ღმერთის თავს). თუ კვადრატში ჩავსვამთ, მივიღებთ სივრცულ ჰაეროვან პირამიდას. საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე კოსმიურ სადგურს ჰქვია **ლახარა**. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი გამოცხადება: „**ქალაქის ვალავანს ჰქონდა თორმეტი საძირკველი და მათზე იყო კრავის** (ქრისტეს) **თორმეტი მოციქულის სახელები. ჩემთან მოლაპარაკეს საზომად ოქროს ლერწამი ჰქონდა** (მხედველობაშია დამწერლობითი მატრიცა), **ქალაქის, მისი კარიბჭისა და მისი ვალავანის გასაზომად** (მხედველობაშია მამა ღმერთის ნათელი კოსმიური სხეული). **ქალაქი ოთხკუთხედად იყო მდებარე** (მხედველობაშია მამა ღმერთის სივრცული პირამიდის ფუძე) **და მისი სიგრძე იგივე იყო, რაც სივანე. ვაზომა მან ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას სტადიონზე: მისი სიგრძე, სივანე და სიმაღლე თანაბარი იყო. ვაზომა მისი ვალავანი და გამოვიდა ახ ორმოცდაოთხი წერთა კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაა.**

12 + 1 + 7 + 1 + 19 + 5 = 45 = 1+2+3+4+5+6+7+8+9 = მატრიცის ფუძეს
კოდი — **ლ + ა + ზ + ა + რ + მ** = საინფორმაციო კოსმიური სადგური
30 + 1 + 7 + 1 + 100 + 5 = 144 = სივრცული პირამიდის განზომილებას

დედამინაზე მეორე კოსმიური სადგურია ეგვიპტის პირამიდების კომპლექსი. მოცემულ სადგურზე ფართოდ მექნება საუბარი. მესამე კოსმიური სადგურია სტოუნხენჯი (ხინჯი=ხიდი), რომელიც მდებარეობს ინგლისის ტერიტორიაზე. მეოთხე კოსმიური სადგურია ტიბეტ-ინდოეთის ტერიტორიაზე. მეხუთე კოსმიური სადგურია ალტაის მთიანეთში, მას შამბალას უწოდებენ (იქ პირამიდები კონუსით მიწის სიღრმისკენაა მიმართული, რომლის ფუძე წარმოადგენს საინის მსგავს ინფორმაციის მიმღებ და გადამცემ საშუალებას). მეექვსე კოსმიური სადგურია მაიას პირამიდის კომპლექსი და მეშვიდე კოსმიური სადგურია ალდგომის კუნძულების ქვის სვეტური ყაბალახიანი კაცები.

თითოეულ ადამიანს მისი სულის საინფორმაციო ცენტრში უდგას (უნერია) ზემოთხსენებული კოსმიური სადგურების შინაარსი. კონკრეტულად იესო ქრისტეზე თუ ვიტყვით, მას შვიდივე საინფორმაციო სადგურის არხი ჰქონდა გაღებული, ამიტომ გვეუბნება რასაც მამა მეუბნება მეც იმას ვიმეორებო. ნუთისოფლის დასაბამიდან, ექვსი მილიარდი წლის განმავლობაში, მხოლოდ იესო ქრისტეს ჰქონდა უცოდველი აზროვნება (ფიქრთა უცოდველი ბა). ამიტომ იგი ჯვარცმის შედეგად ხორცის (წყლის) სხეულიდან აღსდგა **სულიერ** სხეულში. მხოლოდ სულიერი სხეულითა შესაძლებელი ქვესკნელის სავანეების განზე დატოვება და პირდაპირ გაფრენა სამოთხის კარიბჭისაკენ

(მზისკენ) იქიდან კი აფრენა მამა ღმერთის ნათელი კოსმიური ეკლესიის თავამდე.

2000-2030 წლების მონაკვეთში დედამინაზე ზესკნელიდან აუცილებლად ჩამოვა (მა-შული) იესო უამრავ წმიდასთან ერთად და დაამყარებს წესრიგს დედამინაზე. მაშინ ყველანი მიიღებენ საქმეების შესაბამისად...

დედამინაზე გარდაცვლილი ადამიანები ორმოცი (40) დღის განმავლობაში ახალი მეტაფიზიკური სხეულით იმოსებიან, ანუ მოსიარულე ხორცის ტანიდან მფრინავ აპარატში ჯდება მათი სული. ორმოცი დღის განმავლობაში ხდება პიროვნების ცოდვა-მადლის დათვლა-აღრიცხვა, რის შედეგად მატრიცა ამზადებს პიროვნების სულიერების შემაბამის საფრენ აპარატს. ამიტომ გვასწავლის წმიდა სახარება: **„რასაც შეკრავ დედამინაზე და რასაც დასხნით დედამინაზე იგი შეკრულია ზეცაში“** და კიდევ **„კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოვქვს, ბოროტ კაცს კი ბოროტი საგანძურიდან ბოროტება გამოვქვს. თქვენ კი გეუბნებით, რომ ყოველი ფუჭი სიტყვისათვის (ინფორმაციისათვის), რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აბეზან განკითხვის დღეს, ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები და შენივე სიტყვებით გამტყუნდები.“** (მათე 12,35-37).

დედამინაზე გარდაცვლილი და ღვთის მიერ გასამართლებული ადამიანები თავიანთი საფრენი აპარატებით მიემართებიან სხეულის შესაბამისი ინფორმაციის მატარებელი პლანეტებისაკენ, ქვესკნელის სავანეებისაკენ. მათზე მისჯილი საგანმმნდლო თერაპიული სასჯელის მოსახდელად, რის შემდეგაც ისინი მიემართებიან ჩრდილოეთის პოლარული ვარსკვლავისაკენ, იქიდან კი მზის გულისაკენ (სამოთხის კარისაკენ). სამოთხის კარის გასვლა და მზის სავანეში შესვლა ისეთია როგორც ბავშვის სხეულის გამოსვლა დედის მუცლიდან. მზის სავანიდან კუთვნილი ზოდიაქოში გადასვლა და იქიდან გალაქტიკის ცენტრში ასვლა ცივი რაც დედის მუცლიდან ბავშვის სხეულის დაბადება.

მზის სახლის პლანეტები და იქით მზე, ზოდიაქოები და ვარსკვლავები წარმოადგენენ საინფორმაციო სადგურ-აეროპორტებს (კოსმოპორტებს), რომლებითაც კაცობრიობა ახდენს გადაფრენას და ასვლას კოსმიური ნათელი ეკლესიის ცენტრალურ სადგურში (მამა ღმერთის თავში). იქიდან კი ადამიანი თავისი სურვილის მიხედვით მიფრინავს უკიდევანო სამყაროს ნებისმიერი მიმართულებით. ამიტომ გვეუბნება წმიდა სახარება: **„მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა, რომ ასე არ იყოს არ გეტყოდით, მე მივდივარ, რათა ადგილი მოვიმზადოთ, როდესაც წავალ და ადგილს მოვიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წავიყვანო, რათა, სადაც მე ვარ თქვენც იქ იყოთ.“** (იოანე 14, 2-3). სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ დედამინიდან, მამა ღმერთის ნათელი ეკლესიის თაღზე (სულის ცენტრში) პირველი ადის **იესო**. შემდეგ მოციქულები და ყველა ავა და მივა იქ თავისი სულის ხარისხიდან გამომდინარე. ყველა ავა მამა ღმერთთან მხოლოდ იესოს მეორედ მოსვლის შემდეგ (ვერავინ ვერ მივა მამასთან თუ არა ჩემით). ქრისტეს ასვლა მამა ღმერთის ნათელი ეკლესიის მეცხრე ცაზე დაფიქსირებულია **სუფთისცხოველის** თაღზე, რომელიც წარმოადგენს კოსმიური ნათელი ეკლესიის მაკეტს (ხატს). მამა ღმერთის ნათელი ეკლესიის ხატია **სუფთისცხოველი**. ამინ.

$$\begin{aligned} & \text{გასაღები} — 29 \text{ (ძე-2, ღმერთი-9)} \\ & 20 + 22 + 8 + 21 + 10 = 81 \text{ (ღმერთი=81/864)} \\ \text{კოდი} — & \mathbf{ს + უ + ც + ტ + ი} = 81 + 918 = 999 = \text{მამის სულის კოდი} \\ & 200 + 400 + 8 + 300 + 10 = 918 \\ & \text{გასაღები} — 192 \text{ მამა (1) ღმერთის(9) სიტყვა (2)} \end{aligned}$$

კაცობრიობის ნათელი **სუფთია** ძე ღმერთი (ქრისტე) და თორმეტი (12) მოციქული, რომელიც აღბეჭდილია **სუფთისცხოველის** წმიდა ტაძარში. სიტყვა **სუ-ც-ტი, სუც-ტი** დაშლის (დამტვრევის) შემდეგ იძლევა ინფორმაციის დამატებით გასაღებს. **სუ**=42/600 მივიღეთ ლოდი=42 და 600 წლის ნოე (ქ=24/600). **სუც**=50/608 მივიღეთ ლაზარეს მატრიცის 50 კოდი და 6+0+8=14=დედა=1+4=5=ენა. საბოლოოდ მივიღეთ ღმერთის სიტყვის (ენის) შემოქმედი 50 კოდური მატრიცა და კოსმიური დედა ენა. კოდი **ტი**=31/310. **წ**=31/4000. რაც არის დროის მონაკვეთი ლაზარეს დამარხვიდან **XX** საუკუნის დასასრულამდე. ოთხი (4) ათასი წელი დევს მამა აბრაამიდან **XXI** საუკუნის დასაწყისამდე.

მრავალჯერ მაქვს ნათქვამი, მაგრამ აქაც უნდა გავიმეორო, რომ ბიბლიური პატრიარქი ადამი მოღვაწეობდა ჩვენგან უკუ ათვლით თექვსმეტი (16) ათასი წლის წინ. პატრიარქი ადამის მოღვაწეობამდე, ღვთის ნებით არიელ ქურუმთა წინაპრებმა მოღვაწეობა დაიწყეს 280-290 ათასი წლის წინ. ქართული სამება დამწერლობისა და სამება ენის შესაქმნელი წინამორბედი პერიოდი მოიცავს 280-300 ათას წელიწადს. პატრიარქი ადამიდან იწყება სჯულის წერილების წერა, სასულიერო ენის ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა და ხალხში გატანა. აქვე განვმარტავ: **ღვთის სიტყვა** (ინფორმაცია), რომ გახადო ცოდნის პური, საჭიროა ზუსტი საინფორმაციო დამწერლობა, ენა

და სასწავლო პროგრამა. სიტყვა გადაიქცევა პურად (საქმედ) თუ მას საფუძვლად უდევს ღვთის წმიდა სჯული. თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკოსთა და მათი მიმდევართა **სიტყვა** არასოდეს არ გადაიქცევა **პურად** (საქმედ), რადგან სიცრუეა იგი, ამიტომ ცრუ სიტყვა გადაიქცევა ომად, ნგრევად, სიძულვილად, შიდად, მეძაობად, კაცკვლად, ღორმუცელობად, ცრემლად, გოდებად, მოთქმად, ერთმანეთის წვალებად და ყოველივე იმად რაც კი ხდება თანამედროვე მსოფლიოში.

ღმერთი ადამიანს სჯის, წმიდა სჯულის დარღვევის გამო და ადამიანის სულს (მეს) აძლევს მსუბუქ ან მძიმე სხეულს. ანუ ადამიანის სული ისჯება სხეულით. კაცობრიობაც ასამართლებს ერთმანეთს სულიერ-ცნობიერი უთანხმოებათა გამო, ამიტომ ომი არის განსხვავებული სულის მატრიცების მქონე ადამიანთა ბრძოლა ერთმანეთის სულის დასასჯელად. სულის ნაცვლად ისინი სჯიან ერთმანეთის სხეულს, რომელსაც ბიბლიური კოდით ჰქვია სა-ტან-ის-ტური აზროვნება და ეშმაკის სჯულის აღსრულება. მანამ, სანამ კაცობრიობას არ ექნება ქრისტეს მატრიცის ხარისხი, მას ღმერთი დაუსჯელს არ დატოვებს.

პატრიარქი ადამიდან ჩამოყალიბდა **არიელ** ქურუმთა საძმო-სამეგობრო. პატრიარქი ადამიდან, პატრიარქ ნოემდე დევს ცხრა არიელი პატრიარქის მოღვაწეობის დაახლოებით რვა (8) ათასწლიანი ეპოქა. ხოლო ნოეს მოღვაწეობის ეპოქიდან იწყება სასულიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტის ფილიალების გატანა საქართველოს არეალს გარეთ. თექვსმეტი (16) კი არა რვა (8) ათასწლის წინ საქართველოს გარდა წერა-კითხვა სადმე იცოდნენ? თავდაპირველად განათლება გაიტანეს თანამედროვე ერაცის ტერიტორიაზე, რომელმაც შექმნა პირველი სახალხო ბაბილონური ცივილიზაცია. შემდეგ ქართველმა არიელმა ქურუმებმა დაიწყეს პირამიდების მშენებლობა, რომელსაც მოჰყვა ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ევროპის ხალხთა განათლება. მას შემდეგ მოხდა სტოუნხენჯის კომპლექსის აშენება, საიდანაც შემდგომ მოხდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასვლა. მას შემდეგ მოხდა ტიბეტ-ინდოეთის სასულიერო ინსტიტუტის დაარსება და მის გეოგრაფიულ არეალში არსებულ ხალხთა განათლება. შემდეგ მოხდა ალტაის მთიანეთის სასულიერო ინსტიტუტების დაარსება და მის გეოგრაფიულ არეალთან მიმდებარე ხალხთა განათლება, შემდეგ ინგლისის ტერიტორიიდან მოხდა ამერიკის კონტინენტზე გადასვლა და მაიას პირამიდის კომპლექსის აშენებით მაიას ცივილიზაციის დაარსება. ბოლოს აღდგომის კუნძულზე მოხდა ქვის სვეტების აღმართვა და იქიდან კავშირის დამყარება ღმერთის ნათელ ეკლესიის საინფორმაციო ცენტრთან. ამინ.

